



საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალური ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნილით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფლისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Кваლი“.

შინაარსი: ჩვენი უთანხმოება ნ. ყორღანისა, — ხვა-და-სხვა ამბები. — „კვალი“-ს კორესპონდენციები. — * ლექსი დ. თომაშვილისა. — ჩვენი მსახიობა. — წერილი გერმანიიდან ლ. აბ-შვილისა. — ხელოვნება და მისი მიზანი (დასასრული) ივ. გომართლისა. — მცირე შენიშვნა ნესტორ აბაშიძისა. — საპიგიენო განყოფილება: 2 — ყვავილი ექ. გებელიშვილისა და განცხადებები.

ჩვენი უთანხმოება.

II



ოგორც პირველ წერილში განვმარტეთ, უთანხმოება საშინაო კითხვების გადაწყვეტაში აუცილებელი მოვლენაა. ეს მოწმობს იმას, რომ საგანი ბჭობისა ღირსია მრავალ-მხრივი გამო-

კვლევისა და ყურადღებისა; ესარის უტყუარი მაჩვენებელი საზოგადო აზროვნების გამძლავრების და გართულებისა. კითხვა რაც უფრო ღრმა და დიდ მნიშვნელოვანია, მით უფრო დიდ და მედგარ უთანხმოებას ბადებს. ხოლო კითხვა ზერელე და წვრილმანი იწვევს უთანხმოებასაც ზერელეს და წვრილმანს; მაშინ როდესაც პირველმა შეიძლება მთელი სა-

ზოგადოება, მთელი ერი შეანძროს, მეორე მხოლოდ მცირე გუნდს აღამიანებისას აატოკებს და პირველსავე შემთხვევისათანავე ჩაქრება. შეიძლება აგრეთვე ისიც რომ უთანხმოება გამოწვეულ იყოს სრულიად ხელოვნურათ რამდენიმე პირის ყინის და დაუდგრომლობის წყალობით. ასეთი უთანხმოება მოკლებულია ყოველსავე საზოგადოებრივ სარჩულს და ამიტომ ჩქარი სიკვდილი და დავიწყება მისი ხვედრია. ცხადია, უთანხმოება ბევრნაირია, ხშირათ ერთმანეთში არეული და ერთი მეორისაგან ძნელი გასარჩევი. ამისათვის, მოღვაწის უპირველესი მოვალეობაა ეს სხვა-და-სხვანაირი უთანხმოება დაანაწილოს, თითოეული დაახასიათოს და თავ-თავისი ალაგი მიუჩინოს. უამისოთ საზოგადოებას გზა-კვალი აებნევა და აღვილით მოხდება რომ საგანი უმნიშვნელო დიდ მნიშვნელოვანათ აღიაროს, ხოლო დიდ-მნიშვნელოვანი უმნიშვნელოთ. ასეთი არევა ერთობ ხშირია ჩვენ მწერლობაში და ეს კიდევ უფრო თვალს უხვევს ისედაც თვალახვეულ საზოგადოებას...

ასე თუ ისე, უთანხმოება მწერლობაში არის პირდაპირი შედეგი უთანხმოებისა ცხოვრებაში. თუ კი ცხოვრება იცვლება, მისი ერთი წყობა ბერდება და მეორე იფურჩქნება, უეჭველათ აზროვნებაც ამ მხრით უნდა განვითარდეს და მწერლობაში იპოვოს თავისი გამოხატულება. შეკავება ცხოვრების მსვლელობისა ხომ შეუძლებელია, მაშასადამე შეუძლებელია ადამიანთა ჭკუა-გონების შებორკვა და მწერლობის ერთ წერტილზე შეჩერება. ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ ბევრნაირი უთანხმოება წარმოშობა, ზოგი ღრმა და საფუძვლიანი, ზოგიც ზერელე და წარმავალი. პირველი შეიცავს ერთ დიდ ისტორიულ უთანხმოებას, რომელიც ატყდა მესამოცე წლებში ბატონ-ყმობის გარეშე. ბატონ-ყმობას მომხრე და მოწინააღმდეგე — აი ორი შეურიგებელი, ხიდ-გაუდებელი უთანხმოება. აქბრძოლა სამკვდროსასიცოცხლოა, ან უნდა დაირღვეს ძველი ურთიერთობა და დამყარდეს ახალი წყობილება, ან და გამაგრდეს ძველი წყობილება და უარი ეყოს ახალ ურთიერთობას. უთანხმოება ძირითადია, დავა ღრმაა, ბრძოლა აშკარაა, მაგრამ აქაო და ის შფოთს აგდებსო, მაშინდელ ახალ მოღვაწეთ არ მოუნდომებიათ მისთვის ხელის დაფარება და დამალვა. პირ-იქით თითოეული იმათგანი აქედან იკრებდა თავის ძალას და ლამობდა ქვეყნის განახლებას. მართალია, ამ მიზანს ყველა ერთნაირი ენერჯით არ ემსახურებოდა, ზოგმა უკანაც კი დაიხია, შეშინებული თუ იმედმოკვეთილი, მაგრამ საერთოთ, მთელი დასი, მთელი თაობა ძალა უნებურათ აქეთ ილტვოდა და თავის ისტორიულ მისიას ასრულებდა. მხოლოდ ბატონ-ყმობის მომხრენი იყვენ მათი მოწინააღმდეგე და იმავე დროს მოწინააღმდეგე ამ უთანხმოების. ისინი უარყოფდნენ „შფოთს“, რომელიც ვითომდა დაუდგრომელმა პირებმა ატყეს, ქადაგებდნენ „ერთობას“, რომელიც ვითომდა ორიოდვე თავზე ხელ-აღებულებმა დაარღვიეს. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ძველის თაყვანისმცემელნი მუდამ ებრძვიან ყოველრვე იმას, რაც ანგრევს იმათ ბატონობას და ამყარებს ახალ ცხოვრებას; ეს მათთვის არ არის სასარგებლო და ამიტომ გაიძახიან: ღალატია, წმიდათა წმიდა შეგვილახეს, დაჰკარით მაგათო. ამათ, რასაკვირველია, ვერავითარი საშუალებით ვერ დაარწმუნებ, ვერასოდეს ვერ მოიმხრობ, ვერაფრით ვერ გააჩუმებ. ამათ კი არ უნდა ედავო, არამედ უნდა ებრძოლო, ხოლო ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისკენაც ისტორიული სიმართლეა. სწორეთ ასე მოხდა მესამოცე წლებშიაც. ეს „შფოთის“ და „უთანხმოების“ ამტყენი გამარჯვებული გამოვიდნენ, ხოლო „ერთობის“ და „ბალიალობის“ მოციქულნი დამარცხდნენ. ასე

დაბოლოვდა ჩვენი პირველი დიდი უთანხმოება ახლა გამარჯვებულნი დაბანაკდნენ დამარცხებულთა ალაგას, ჩადგნენ ცხოვრების სათავეში და თან გამოაცხადეს: მტერმა იარალი დაჰყარა, უთანხმოება მოიხპო, გათელილი სიმართლე კვლავ აღდგა, ამიერიდან თხა და მგელი ერთათ იძოვსო. და ის იყო, თანხმობა ჩამოვარდა, ბრძოლა უარყოფილი იქმნა, საერთო დროშა აფრიალდა. მართალია ხანდა-ხან ატყდებდა ხოლმე დავა და უთანხმოება, მაგრამ ეს უფრო საბანკო კითხვების გამო. ბანკის ასეთი თუ ისეთი წესდების შემუშავება, ამა თუ იმ პირის ბანკის თავმჯდომარეთ არჩევა—ეს არავითარ ისტორიულ დავას არ შეადგენს, არავითარ ეროვნულ მოვლენას არ შეიცავს. ეს უფრო კერძო საქმეა, ვინემ საერო, ეს უფრო საზოგადოების მცირე გუნდს აინტერესებს, ვინემ მთელ საზოგადოებას. და სწორეთ ამისათვის, ამ დავამ დიდი კვალი ვერ დატოვა ჩვენ ცხოვრებაში. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ არსებული ბანკის მომხრე და მოწინააღმდეგე ბოლოს შერიგდნენ და ხელი-ხელ გაყრილნი ასპარეზზე გამოვიდნენ (გარდა ორიოდვე მოღვაწესი). ისინი, როგორც გამარჯვებულნი, ამ ჟამათ მეცადინეობენ მოპოვებული პოზიციის შერჩენას და ყოველივე წინააღმდეგობის განადგურებას.

საიდან უნდა აღორძინებულიყო ეს წინააღმდეგობა? რას უნდა გამოეწვია ახალი უთანხმოება? „ივერია“ ერთხელ, წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, სამართლიანათ სწერდა: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტათ თუ ბევრათ ფერი იცვალა, ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავისი ხავეჭველიან გამოვიდა და ახალი გზა ჯერ ვერ გაუკვლივია, ახალი ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია თუ კაცს გზა აერია: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვეღარ მოუხერხებია. უმრავლესობას შეიძლება თვალნათლიათ არც კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი, რომ თვით უმეცარიც ბუნდათ მაინც არ გრძობდეს ამასა. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითი ძალ-ღონე, რომ თავის თავს თვითონვე უშველოს. აი აქ უნდა მოეშველოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახლის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან.“ მაგრამ ჩვენი განათლებულნი ამას არ აქცევენ ყურადღებას და თავისთვის ცხოვრობენო. „შეზედეთ სხვა ქვეყნებს, ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის. ყოველ ამ გვარ მოძრაობას ახალი მო-

თხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე სხალი დასის ხალხი გამოდის, ძველ თაობას სხალი ცვლის, ან გვერდში უდგება. ახალ-ახალი ცოდნით, ახალი ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანისა და ღონით, ცხოველის ძალით არის შექტურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლათ გადის და ცხოვრების ვარაშა და ვაგლახს პრეცეს... სანუგეშოთ ის მაინც რჩება, რომ ცხოვრება იქ დახვსებულ გუბედ არ გადაიქცევა. სხვა მოძრაობას, იქ სიცოცხლეც არის. ჩვენში რაღას ვხედავთ? ჩვენში კი არავინ გამოდის ამ ახალ სარბიელზე, ახალი ცხოვრების წინამძღოლათ, „ცხოვრება წინ წავიდა, ცარიელი მოედანი ცხოვრებისა დაღადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთ. მაგრამ დაღადი ჯერ არავის ესმის და მოწვევაზედაც ჯერ არავინ მიდის“. („ივ.“ 1886 წ. № 89; ხაზ-გასმული ჩვენია).

აქედან ჩვენ ვტყობილობთ პირველათ იმას, რომ ჩვენი ცხოვრება ძველ გზას მოშორდა და ახალ გზას იკაფავს; მეორეთ, ეს ბადებს ახალ მოთხოვნილებებს ხალხში და მესამეთ ამის ამხსნელი და წინამძღოლი უნდა იყოს „ახალი დასის ხალხი“. და თუ ეს ასე იყო 1886 წ., რაღა უნდა იყოს დღეს, 1900—ში, როცა ახალმა ცხოვრებამ უკვე მიაგნო ახალ გზას და ზედ მედგრათ მიექანება. აშკარაა, თუ ოდესმე ამ ცხოვრებას ახალი ხალხი ექირვებოდა—ეს უთუოთ დღეს, თუ მას ოდესმე ახალი დროშა ეკუთვნოდა ეს უთუოთ დღეს. და რადგანაც ახალი დასი ანუ თაობა ძველ დასს ანუ თაობას ცვლის—ცხადია მათ შორის წინააღმდეგობაც აღორძინდება. მაშასადამე, მეორე დიდი უთანხმოება უნდა დაბადებულიყო დღეს და კიდევაც დაიბადა.

რაში მდგომარეობს ეს უთანხმოება? დღევანდელი უთანხმოება, ისე როგორც მესამოცე წლების უთანხმოება, არის უთანხმოება ისტორიული. მაშინ საჭირო იყო ყმის თავისუფალ ადამიანათ გადაქცევა, დღეს საჭიროა თავისუფალი ადამიანის შეგნებულ მოქალაქეთ გარდაქმნა. აი განსხვავება ამ ორ ხანას შორის. მაშასადამე, სამოქალაქო კითხვა არის ჩვენი დროის უდიდესი კითხვა და უთანხმოებაც მხოლოდ მის გადაწყვეტაში შეიძლება დაიბადოს. როგორც ბატონ-ყმობის გაუქმება ნიშნავდა ახალი ხანის დაწყებას, ისე ჩვენი ქვეყნის გაქალაქება ნიშნავს ახალი ცხოვრების შემუშავებას. რა გზით წარმოებდა პირველი და რა ნაირათ უნდა იწარმოგოს მეორემ? ყმის განთავისუფლება მოახდინა არა თვითონ ყმებმა, არამედ მათ ზევით მდგომ ინტელიგენციამ


და კანონმდებლობამ. ის იყო საქმე უმცირესობის. ამისათვის მესამოცე წლების მწერლობაში დატრიალდა ის აზრი, რომელიც ვეროპაში კანონი დადრღვეული იყო, სახელდობრ, ხალხი უბრალო მასალაა, ისტორიის პასიური ელემენტი, მისი ერთ ჩამოსხმა, აქეთ თუ იქით მიმართვა შეუძლია მხოლოდ ინტელიგენციას; ინტელიგენცია თვით ქმნის ისტორიას ხალხის საშუალებითო. ერთი სიტყვით, თუ საშუალო საუკუნოებში ხალხის მეთაურათ იყო მოწინავე წოდება, დღეს ასეთ მეთაურათ ინტელიგენცია უნდა შეიქნესო. აქედან დაიბადა მესამოცე წლების მოძრაობა.

და აი, ეს მოსაზრება აღარ შეეფერება აწინდელ ჩვენ ცხოვრებას,*) არ შეეფერება იმიტომ რომ არსებობის ძველი პირობები გამოიცვალა, მაშასადამე ძველ პირობებში შემუშავებული აზროვნებაც უნდა გამოიცვალოს. ამ დროის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ სამოქალაქო ცხოვრების სარბიელი ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქნა; ამან ამოძრავა მთელი ხალხი, მთელი ერა და ახალ მიმდინარეობაში ჩააბა. ის გამოვიდა სამოქალაქო გზაზე თავისთავათ, ცხოვრების ძალდატანებით და თავისთავათვე მიდის ბოლომდის. და აი, ამ მის სიარულში, ანუ ცხოვრებისათვის ბრძოლაში, იქმნება ის მოქალაქეთ. ყოველივე გარეგანი პირობა, როგორც მაგ. მწერლობა, სწავლავანათლება, ხელოვნება და სხ., დამყარებული სამშობლო ნიადაგზე, მას ხელს უნდა უწყობდეს ამ პროცესის წარმოებაში, ყველა ეს უნდა აცლიდეს დამბარკოლებელ მიზეზებს, უნგრევდეს გზაზე ამართულ ზღუდეებს და ამით უნდა ეხმარებოდეს თავისუფალი კალაპოტი შექმნას. მხოლოდ მოძრაობით კი ის უნდა მოძრაობდეს და თავის საქმეს ის თვითონ აკეთებდეს. ცხადია, აქ აქტიურ როლს თამაშობს თვითონ ხალხი; ის არის ისტორიის უღელში შებმული და მისი იქიდან გამოხსნა და ინტელიგენციის შეხმა—ყოველად შეუძლებელია. ეს უნიადაგო ოცნებაა. მას შეუძლია მხოლოდ ბორბალს ქონი წაუსვას და მით მისი ტრიალი გააადვილოს.

მოკლეთ, მოქალაქეობის დამყარება სხალი - მოქალაქის შექმნით სხლისავე მეთაურობით—აი ჩვენი დროის მიმართულება, აი რას ვემსახურებით ჩვენ.

ეს არის ის მთავარი ნასკვი, საიდანაც გადის და სადაც თავს იყრის ახალი აზროვნების ყველა ძაფები. ეს არის ის მთავარი უთანხმოება, საი-

*) საკვირველია, რომ რუსეთის ახალ მწერლობაშიაც ჯერ კიდევ ტრიალებს ეს აზრი და მის წინააღმდეგ ხმის ამოდება ვერავის გაუბედავს.



დანაც ლოლიკურაო გამოდის და სადაც ლოლიკურათვე თავს იყრის ყველა დანარჩენი უთანხმოება. ცხადია, ეს არის უთანხმოება თვით ცხოვრების ძირითად მიდრეკილებაზე დაფუძნებული, თვით ერის დედა-ძარღვზე აღმოცენებული, მის აუცილებელ მოძრაობით გამოწვეული და, ახლა ერთი მითხარით, განა ეს არ არის ღირსი ყოველ მხრივი კვლევისა და განსჯისა? განა მისი მოსპობა უთავბოლო ლაყბობით და ერთი --ორი პირის ლანძღვა-გინებით შეიძლება?

ჩვენ ყველას გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი და მერე ეს სიყვარული არ უნდა ჩნდეს ამა თუ იმ სახალხო კითხვის გადაწყვეტაში? განა სიყვარულია ის, როცა მწერლობა მასხრობათ კეთდება და ამით ხალხის ნდობა ბოროტათ იხმარება? განა რამე გულმტკივნეულობა ხალხისადმი არის იქ, სადაც ყოველ საჭირ-ბოროტო კითხვას გვერდი ევლება და მის ალაგას მხოლოდ ერთი გაუთავებელი უზრდელური სიტყვა-პასუხი მკვდრდება? და ნუ თუ პრესის ასეთმა გათახსირებამ თან ჩაიყოლია მუდამ ფიზიკური და სიმართლის მოყვარული ახალ-გაზღობაც?

ვიმეორებ, ჩვენი უთანხმოება არის უთანხმოება ახალი დროის, წამოყენებული ახალი ცხოვრების განვითარებით და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მისი ცნობით და მის დროშას ქვეშ მუშაობით. მისი გამარჯვება არის გამარჯვება კულტურის უკულტურობაზე, ევროპიელობის აზიელობაზე, წინმსვლელობის უკან ჩამორჩენაზე. მისი დამარცხება არის დამარცხება მოქალაქეობის და მასთან ერთად მთელი ქართველობის, ქართველობის როგორც ერის და როგორც ხალხის...

ბ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები

როგორც გვატყობინებენ, ჩვენ ახალგაზდა კომპოზიტორს ბ. მ. ბალანჩივაძეს უკვე დაუმთავრებია პირველი ქართული ოპერა სახელათ „თამარ ცბიერი“ („Коварная Тамара“). სიუჟეტი აღებულია აკაკის იმავე სახელის თხზულებიდან. ოპერის დაბეჭდვა უტვირთნია ერთ ჩვენ ცნობილ მემამულეს

ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ გლეხობის წისქვილებს არ უნდა გადახდეს სამრეწველო გადასახადი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წისქვილის პატრონს იჯარით არ აქვს გაცემული წისქვი-

ლი სხვა პირზე და ან ოთხ თვალზე მეტი ფული აქვს წისქვილი.

როგორც მოხსენებული გვეკონდა წარსულ „კვალის“ ნომერში, გუბერნატორმა დანიშნა კომისია ბოზარჯიანის ფაბრიკის გასაშინჯათ. კომისიამ დაათვალიერა ფაბრიკა და შესაძლოა იცნო შიგ მუშაობის გაგრძობა სანამ ბოზარჯიანი ვერაზე დაწყებულ შენობას დაასრულებდეს. კომისიამ საჭიროა დაინახა მხოლოდ, რომ ძველ შენობაში ხის კიბეები შეიცვალოს რკინისაზე და გადიდდეს ფანჯრები.

ფინანსთა სამინისტროში დაარსებულ განსაკუთრებულ კომისიას უკვე დაუსრულებია მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში საექიმო ნაწილის მოწყობის შესახებ. კომისია იმ დასკვნამდის მისულა, რომ ყოველ ცოტათი მოზრდილ ფაბრიკასა და ქარხანასთან უნდა დაარსდეს ქსენონიდა საავათმყოფო ავათმყოფთათვის წამლების უფასოდ მიცემით. საავათმყოფოში მუშები მექარხნის სრულ ხარჯზე უნდა იყვნ. იქ, საცა ქალები მუშაობენ, ქალთა საავათმყოფო უნდა იყოს დაარსებული და მოწვეული ბებია ქალი.

ქართული დრამატული საზოგადოების კრება წევრების კანონიერ რიცხვთა დაუსწრებლობის გამო გადაიდვა 29 ოქტომბრისათვის.

ქართულ სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა მმართველი სექცია თხოვს ყველა გულ-შემატკივარ ქართველს, რომ შეწირონ სახალხო თეატრს პიესები. წიგნების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ავქალის ქ. № 72. მარიამ ივანეს ასულს ქ. დემურისას („ივ.“).

14 ოქტომბერს თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საძირკველი უკუერთხებიათ.

როგორც „ახალ მიმოხილვას“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ მთავრობას ნება დაურთავს რათა სიღნაღის მაზრის და სხვა სახაზინო საზამთრო საბალახოებში ნავთის წარმოება დაიწყონ.

გრაკალსა და კასპს შუა რკინის გზაზე მომხდარ უბედურების გამოძიება უკვე დაიწყო. დამნაშავეთ აღსარებულია გრაკალის სადგურის უფროსის თანაშემწე ბ. კეხელი.

საქართველოს
საქართველოს

„კეკელი“ კორესპონდენციები

თფილისის საზოგადო-საშუალო განათლების
კურსები გაიხსნა 19 ოქტომბერს, ლექციებს კით-
ხულობენ 1-ლ გიმნაზიის შენობაში. ვისაც ყველა
საგნების მოსმენა სურს, უნდა გადაიხადოს წელი-
წადში 5 მ; თითო საგანში კი 1 მ. თითო შესვლა
ლექციაზე ღირს 20 კ.

გაზ. „მშაკს“ წერენ ახალქალაქიდან შემ-
დგეს: ის 15 ათასი მანეთი, რომელიც თფილისის
გუბერნატორის ჭანკარგულებით სესხის მზგავსათ
მისცეს ახალქალაქის მახრის გლეხებს სათესურის
საყიდლოთ, დაურიგეს გლეხებს და თითოეულ
ოჯახს 75 კ. ერგო, რადგან დაზარალებულთა
რიცხვი ერთობ ბევრი გამოდგა. (20 ათასი სული)
უმეტესობამ ამ ფულით ერთი ორი დღის საყოფი
იყიდა და დანარჩენებმაც სახაზინო გადასახადს
მოანდომეს, ასე რომ დანიშნულ საქიროებას ფუ-
ლი ვერ მოხმარდა.

საქართველოს მუშა ხალხს, რომელიც დღე
მუდამ სამუშაოს ეძებს და ამით აწყდება ჩვენ ქა-
ლაქებს, ახალი წყარო აღმოუჩნდა ფულის შო-
ვნისა, ჩვენ სახეში გვაქვს ტყვარჩელის ქვა-ნახში-
რის მადნები. ამ საქმეს იმდენათ ბრწყინვალე მო-
მავალი მოცილის, რომ ჩვენ დარწმუნებული ვართ
არა ერთ და ორ მუშას გაუჩინეს საქმეს და საშუა-
ლებას მისცემს სამუშაო ძალის გაყიდვისას, ამის-
თვის საქიროთ დავინახეთ მოვიყვანოთ აქ რამდენ-
ნიმე ცნობა ამ ადგილების შესახებ. მადნები აღმოა-
ჩინეს სოხუმის ოლქში, ტყვარჩელის სახაზინო
ადგილებში, რომლის სიგრძე დაახლოებით 180
ოთხკუთხ ვერსტს შეიცავს. დ. ოჩამჩირედან, საცა
ნავთ-სადგურის გაკეთება აქვთ აზრათ, ქვა-ნახში-
რის გვირაბამდე (სოფ. ტყვარჩელის ახლო) სულ
40 ვერსტია; ასე რომ მისასვლელი გზა მადნებიდან
ნავთ-სადგურამდე ზღვის პირათ სიგრძით 40 ვერ-
სტი იქნება. დ. ოჩამჩირედან 25 ვერსტი. გვირა-
ბამდე ჩინებული საურმე გზაა, მერე კი საქვეითო
ბილიკი მისდევს. მთელი ეს სახაზინო ადგილები
დაფენილია ხელ-უხლებელი ტყით. ადგილი მაღლო-
ბია და შემკულა საუცხოვო ჰაერით. ზამთარი
თფილი იცის. ბევრ ადგილას თფილი წყლები
გაღმოჩნდნენ. ამ საქმის წარმოება აღებული
აქვს ბუტმანის კამპანას. ქვა-ნახშირის გასუფთა-
ვება და ხარისხებათ დაყოფა უნდა მოხდეს ოჩამ-
ჩირეში ნავთ-სადგურის ახლო. სპეციალისტების
გამოანგარიშებით ფუთი გაწმენდილი ქვა-ნახშირი
ადგილზე 4¹/₂ კ. ეღირება. ყოველ წლივ მადნე-
ბიდან ოც-და-ათი მილიონი ფუთი ნახშირი უნდა
გაიტანონ.

ჭათურა. შავი-ქვის მწარმომადგენელი წლებადე
კრებსზე ბევრი რამ ითქვა ჭათურის მუშათა მდგომარეო-
ბის გასაუმჯობესებლათ, თუმცა ბევრი საკითხიც შეუხე-
ბელი დარჩა, მარა რაც ითქვა ისიც კარგია. რასაკვირ-
ველია, ჯერ ადრეა ყველა იმის განხორციელება რაც
კრების ოქმში იქმნა შეტანილი და საჭიროა ჯერ მთ-
ლინება ვიქნებით. მარა უნდა გავიხსენოთ წარსული
ზამთრის უბინაო მუშათა მდგომარეობა, რამაც ცოტა
რამ ვითქვით, ორასზე მეტი მუშა გამოასაღმა წუთი-
სოფელს და აი ზამთარიც მოახლოვდა და ისევე იმ სა-
მწუხარო მოვლენას უნდა მოველოდეთ. ამისთვის სა-
ჭიროა სხანამ მართლა აცივდებოდეს მზრუნველობა გაუ-
წიონ ვისგანაც ჯერ არს უბინაო მუშებს. დათვალეორან
მადნებში და აქ ჭათურაშიც მუშათა სადგომი ბინები;
დაავალბონ მოიჯარადრეებს მათი უკეთ მოწყობა, აუკრძა-
ლენ უბინაო მუშების დატყვარ და სხვა. ამასთან გამოე-
ცხადოს სისასნიტარო მზრუნველობას, დათვალეორან თა-
ვის რაიონებში დამდგარი თავლები კვირაში ერთხელ
მაინც, რომ მეტი სისუფთავე იქნებინ, რადგანაც ზირ-
ველათ აქ ჩნდება ავთიმოფობა. საჭიროა სისასნიტარო
მზრუნველებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ღუქებს,
სადგომებს და უმთავრეს ქუჩებს, სადაც მუდამ აუარებელი
ხალხი დადის და თუ გადატანა-გაწმენდა არ ექრნებათ
იქვე დაწვევებონ ვხაში გამოტანილი ნესვი, რასაც
ხშირათ შეხვდება აქ კაცი. ბევრ რისამე გაკეთებას
დაგვზინდენ ჭათურაში, მარა სხანამ ზეტრე მოვიდოდა
ზავლეს ტყავი გააძვრეს, ისე დაკვეთათება მკანი. ჯერ
ათიოდე ფანარის დადგამ ვერ მოახერხეს, რომ დამე
უხითათოთ შეიძლებოდეს გავლა უმთავრეს ქუჩებზე მაინც.
სამწუხაროა აგრეთვე მტირე-წლები მუშათა მდგომარეო-
ბა. აქ ხშირათ შეხვდებით უადგილოთ მოხეტიალე ქუ-
ჩის ბიჭებს, რომელნიც უხსნო სამარცხვინო საქციელს
ქიჯუიან და ირუჯებიან. მუშათა ბიურო ჭათურისათვის
ჯერ ოცნებას, სამაგიეროთ მუშათათვის მზრუნველი კო-
მიტიტი რომ დაინიშნებოდეს, დიდ სამსახურს გაუწევდა
როგორც მუშის ისე მრეწველობის საქმესაც, რადგანაც
მუშათა სიკეთე მრეწველობის წარმატებასაც ნიშნავს.
ათას გვარ უკუდმართობასთან ორი სიკეთე გვქონდა ჭია-
თურის მუშებს: წყალი და ზური, მარა დღეს ესენიც
დაგვიძვირდა; ეს ერთი ხანია ისეთ უგემურ და უმცხვარ
ზურს გვაწვდიან აქაური მეფურნეები, რამ ძაღლსაც არ
ეჭვება. ხოლო ჭიათურის ერთთ-ერთი წყარო „ბადატირი“
წავიხდინა აქვე ჩამოძინარე ზატარა რუმ, რომელიც
ზევიდან ჩამოდის, უერთდება წყაროს და ავდრის დროს
კიდევაც ამდურვეს და უერთებს სიბინძურეს, რომელიც
რუს ჩამოაქვს. ეს ძალიან ადვილი გასაკეთებელია, რომ
ზატრინი იყოს! დიდი სისურველია ყველა ამაქებს ჯერ-
ვანი უურადღება მიაქციოს საბჭომ.

შავი-ქვის მუშა.

სოფ. შემოქმედა (გურია). შემოქმედი მღვთაშობის მდინ. ბუჯის ნაზირებზე ოზურგეთიდან აღმოსავლეთით. მარცხენა ნაზირი ვაკეა, მარჯვენა კი მთაგორიანია, რომელიც მდიდარია სისქის ქვის მადნით და ამიტომ არის რომ თითქმის ყველა ახლოს მცხოვრებმა იცის ქვის ხელობა, რაც კარგ მოკებს აძლევს სოფელს. მიწის მუშაობას, შეგენახობას და ვაჭრობასაც ენერგიულად ეტანებიან, მხოლოდ შეპირებულნი ვერ მოადგა აქედნი ისე რომ გურის სხვა სოფლებში. შემოქმედელს უფროს მდიდრულად ცხოვრება, და ამიტომ როდესაც მას სოფელი არ დაკმაყოფილებს — ის მაშინვე ბათუმში, თბილისში ან სხვა ქალაქში მიდის სამუშაოთ. შუა სოფელში გაშენებულია ზატარა დაბა სასოფლო სამართველოთი, ორ კლასიანი სასწავლებლით, ბიბლიოთეკით და თხუთმეტობადე დუქნებით. ამ არე მარჯვ „ჯვარს“ ეძახიან. დუქნებს შუა დგას ცაცხვის დიდი ხე, ხის ძირში ქვა ძევს. რომელზედაც ქვის ჯვარია დაუდებული. ჯვარს სიგრიე ერთი არშინი ექნება და შესაფერი სიგანე. აი ამიტომ ეძახიან ამ ზატარა დაბას „ჯვარს“.

გასულ წელს ბ. ს. წაქაძის (სოფლის მასწავლებელი) თაოსნობით საზოგადოებამ თხოვნით მიმართა მთავრობას: გადაგვიკეთე დღევანდელი ორ კლასიანი სასწავლებელი ნორმალურად აგრძობილი განყოფილებით და ფულითაც დაგვიმხრეთ. ამ თხოვნის ზასუხი დირექციამ ქუთ. გუბერნატორს გადასცა შემდეგი გადაწყვეტილებით: დარჩეს ისევ ორ კლასიანთ, ხოლო გაიხსნას აგრძობილი განყოფილება*) და დაჰზირდა შემწიებას 700 მან. წლიურად. გუბერნატორი დაეთანხმა ასეთ გადაწყვეტილებას და მოხელე გამოგზავნა სოფელში რათა შეეკითხოს საზოგადოებას, თანახმა არიან თუ არა ზემოხსენებული დადგინებისა. ამის ზასუხათ საზოგადოებამ ისევ ისეთი თხოვნა გაგზავნა, რაც ზირველად, რომლის ზასუხი ჯერ არ არის.

მართალია სხვა სოფელზე ნაკლები ინტელექტუალური არა ჰქავს შემოქმედს, მაგრამ საკვირველია ამითი მოქმედება! მათ არაფერი კეთილი საქმე არ ახსოვთ გარდა არშეობისა, „დუშაშისა“ და „ჩერეს“, თამაშისა. ნუ თუ არ შეეძლოთ ერთი წარმოდგენა გაემართათ საბრძოლო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ! სად არიან ახლა ის ვაჟბატონები, რომელნიც სხვა და სხვა ხარისხის წევრების სხელს ატარებენ? ერთი კრება მაინც მოხსენიანთ რომ ან მთლად დაეხურათ ან და გაეუმჯობესებიათ ბიბლიოთეკა.

ბ. ს. ერქამაიშვილის დახმარებით გაიხსნა შემნახველ გამსესხებელი ბანკი და როგორც ახალი საქმე — არა

*) საკვირველია, რომ თუმცა მეურნეობას მთავრობა დიდად უწყობს ხელს, მაგრამ მან მაინც ვერაფერი ნაყოფი ვერ მოიტანა ჩვენში, რასაც ნათლად გვიმტკიცებს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი და ოზურგეთის სამეურნეო განყოფილება. პირველი რვა წელია რაც დაარსებულია, მაგრამ უკან თუ მიდის თორემ წინ არა.

ავტ.

უშავს-რა, მაგრამ საშაშა მასაც ბიბლიოთეკის ხვედრად სხვად.


მდ. ბუჯი, როგორც ზევით ვთქვი, შუაზე ჰყოფს სოფელ შემოქმედს და ამიტომ აუცილებელი საჭიროა კარგი ხიდი. 1896 წელს ბ. ი. მამინაიშვილმა საზოგადოების დახმარებით გააკეთა ხიდი, მაგრამ არ გასულა ერთი კვირა რომ წყალი ადიდდა და წაიღო. მას შემდეგ საიშვილმა აქანაფური გაკეთებულა რითაც დიდ გაჭირვებაშია საწყალი სოფლები. სწორედ საჭიროა რომ ამას უურადლებას მიაქცევდეს მთავრობა, მით უფრო რომ რაც ოზურგეთში და სოფლებში ქვის შენობა შენდება — იმათი საშენი ქვა სულ ამ არეზე უნდა გამოიტანოს. რამდენჯერ მიხახავს საწყალი სოფლები ხარით და ურმით შუა წყალში განერებული, რომ გამვლელს უცდიდა შეიძლება დამეხმაროს და ნაზირზე გავიტანო დატვირთული ურემიო. ნეტავ როდის გვედირსება საიშვილ ხიდი!

ნალვლიანი.

ს. აცანა (ოზურგეთის მაცხრა). აცანის მცხოვრებთა თანამედროვე ცხოვრების აყოლა და საზოგადო წინმსვლელობისკენ ზატარ-ზატარა ნაბიჯის გადადგმა არა ახალია, ხოლო ისევ „უკან გადმოდგმა“ კი სულ ახალი განლაგო. რასაკვირველია, აქაც, ამ „უკან იყენის გადმოდგმაში“ საშატო მიზეზი მოიყვანეს აცანელებმა. (შე ვამბობ საქალბო სკოლის განსნახე, ის „იგერია“ № 199 წერილი აცანიდან) ეკონომიურად დარბი ვართო, მარა უფრო ნამდვილი თვალთ რომ შეეხვდით საქმის თვის და არ ახელოდენ საში-თხი კაცის ფეხის ხმას, არც ისე განსჭირი იყო საქმის სისრულეში მოყვანა, როგორც ეს მათ წარმოდგენიათ. აი როგორ: სახლი სკოლისთვის მზათ აქვთ, მასწავლებლის სახელმწიფო ხარჯით მოყვანას დაზირდა მდ. სილიბისტრო ჩხაიძე, საზოგადოებას რჩებოდა მარტო სკოლის შენობის შეკეთება; აქაც შეიძლებოდა ასე მოწყობილიყო: ვისაც ბავშვი ეყოლებოდა სასწავლებელში, გადაეხდა წელიწადში თითო მანეთი, რასაკვირველია, სასამ ბავშვი იქ ეყოლებოდა.

ერთი სიტყვით საქმე განარსული იყო და „ბედით კარებზე გვექონდა მოგორებული“, მარა „მეთაურმა სოფლისმან“ (ასე მიანხია თავი ბევრ მელანარაკეს სოფლის ერილობასზე მიუხედავთ მისი შეცდომებისა) ე. ი. სამამ-თხმამ კაცმა არაა მოხანსტერი და ასე შეენივრათ გამოწყობილ-გამოჩანსული საქმე მიატოვეს უურადლებოთ, „არ გვინდა სწავლა, არაო“! იმედია, ჩვენი საზოგადოების ავ-კარგზე უფრო გულ-შემატკივარნი და ბლად. მდ. მ. სილიბისტრო, კვლავ ადძრავენ ამ კითხვას.

აქური ორ-კლასიანი სკოლა დღეს ქვის შენობაშია მოთავსებული; ცხადია, რომ დიდი შრომა მიიღეს აცანელებმა მის აშენებაზე, მარა სიმართლე მოგახსენოთ,



ხოტიო უნდა გამოდგეს, რადგანაც მთაშია შედგმული. მართალია, ახლა იმის გადმოტანა ყოველად შეუძლებელია და ამაზე ლაპარაკიც შეიძლება უადგილოთ დაინახოს ზოგიერთმა, მაგრამ არის ერთი საშუალება, რომ თავიდან ავიცილოთ შიში სინესტისა. ეს განსჯეთ აი რა: უნდა გამოითხაროს სკოლის შენობის უკან საკმაოთ მიწა, რომ თავისუფალი ადგილი დარჩეს სკოლის კედელსა და გამანათნარ მიწას შორის. იმედია, ბ. ილ. ურატაძე სხვა სიკეთესთან (სკოლა ურატაძის შემოწირულ მიწაზეა აშენებული) კვლავ დაგვიტოვებს დაწილებისამებრ მიწას, და მით საშუალებას მოგვცემს სკოლის არგ-მარის გაუმჯობესებისას.

გასულ, სამოსწავლო წელში, აცანაში თითქმის ნახევარ დუჟინი მასწავლებლები გამოიცვალა. მათი ასე უცებ მოსვლა-წასვლის მიზეზი უგელაზე მეტათ აქაურ (აცანელ) ცხოვრების პირობებში უნდა ვეძიოთ; რადგან, მოვლენ თუ არა, რაკი გაგვიცნობენ, ხელათ განსნილ „გაკანსიაზე“ თხოულობენ გადაუვანას. ერთი სიტყვით, კაი ხანია აღარ შეგვრჩა მასწავლებლები და არა; და მასწავლებლის ხშირ-ხშირათ გამოცვლა მოსწავლეთათვის თუ რამდენათ შემავრცელებელია სწავლაში — ეს ხომ ცხადია. აქაც ჯეროვანი უურადლებაა მისაქცევი, რომ ეს სენი თავიდან ავიშოროთ. აცანელის წიგნთ-საცავ-სამკითხველთა გვაქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ბ. ტუხია.

თეთრსა შავი რომ უწოდოს, დაიჯერე — დაუჟინოს?!

ან და—მარად უძახოდეს მას უაზრო მახინჯლას, მასთან ბრძოლას ანდამებდეს ის სსჭირო თავის ძალას?..

მე მგონია—სულაც არა! — მას სხვა გზა აქვს გასაკაფი, სადაც უნდა გამბულ იქნეს ის წითელი დედა-ძაფი.

რასაც უნდა მომავალი სამოღვაწოთ ხელს ჰკიდებდეს და იმისგან ნახვენი გზას თავს ერთიც არ ანიდებდეს.

მაშ, მშრომელსა თავ-დადებით დეე კიცხვა უნდეს არათ! და ბიბლიურ გულწრფელობით ის არკვევდეს ნათელს მარად!..

გულს იმედი უღვივოდეს, ვით ღიური ნაშერწავლი, აწმეო უნდეს ახარებათ და მსაჯულათ მომავალი.

დ. თომაშვილი.

* * *



დეე ძველი ძველს ეტროფდეს, მომაკვდავი უკვე მკვდარსა! თავის მსგავსი უფრო უკვარს ქვეყანაზე ყოველ არსსა!..

ეს არ არის დასაგმობი, და რომ დაჰგმონ, არც მგონია, რადგან ესეც, სხვათა შორის, თვით ბუნების კანონია.


დეე თავის ვიწრო გზაზე განსაზღვრულათ იგი ვლიდეს, მხოლოდ შრომით გატაცებულს სწორე გზით სვლას არ უშლიდეს.

სათქმელია, — ბნელში მჯდომისა ნათელში მსვლელს უკაჟინოს?..

ჩვენი სახიობა.

უთმაბათს, 19 თქტომბერს. ოფილისის ქართული თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენების წლებიანი სეზონი. წარმოდგენილ იქმნა კრომელოვის ცნობილი კომედია „გაი ჭკუისაგან“, პირველათ ლექსათ ნათარგმნი ქ. კანდელიძის-მიერ. წინეთაც გაგვეგონა, კარგი ენით და კარგი ლექსთ-წეობით არის ნათარგმნი და ახლა შეძლება მოგვეცა შეგვემოწმებია ეს ხმები. და მართლაც, კარდა ორიოდ უსწორ-მასწორობისა, ჩინებული ლექსია, განსაკუთრებით საკითხავათ უნდა იყოს კარგი. სცენაზე, მოკესენებათ, რაც უნდა კარგი ლექსი იყოს, ლექსის მსგავსათ მაინც იშვიათათ გამოდის. ხშირათ ასე ჰგონიათ ლექსი კი არა პროზაა. ამიტომ ლექსთა წეობის მოყვარულთ მხოლოდ მისი წაკითხვა დაკმაყოფილებთ. აქ მოვიყვანთ სანიმუშოთ რამდენიმე ადვილს თარგმანისას.

ძველი წეობის წარმომადგენელი ფამუსოვი ეხვეწება ახალი აზრებით ადჭურვილ ჩაცვის, სამსახურში შედი, ის უნდა იყოს ყოველი კაცის იდეალი:



ჩაცკი. სიამოვნებით, მხოლოდ ვერ შევძლებ, რომ სამსახურში მსახური ვიყო.

ფამუსოვი. საქმეც ეგ არის, რომ კუდაბზიკობთ და უფროსთაგან არაფერს სწავლობთ! რას აკეთებდენ თქვენი მამები, როდი დაეძებთ, არც კი კითხულობთ! ჩვენ, მაგალითად, ან და ბიძია მაქსიმ პეტროვიჩის, სულ განათლებულს, ოქროს ტურტლებით ატყევედენ საქმელს. ვინ შეჰკადრებდა იმას ვერცხლეულს! მუდამ თავს ადგა ასი მსახური, სულ ჯილდოებში იყო ჩამჯდარი, მიჰქრი—მოჰქროდა და სუყველასთვის მას ღია ჰქონდა სასახლის კარი. სასახლის, მერე ვისი სასახლის! წინანდელი ახლანდელს არ ჰგავს! ეკატარინე ხელმწიფეს ახლდა და სუყველანი სცემდენ თავვანსა. დარბაისელთა დიდებულ სალამს ბევრჯერ პასუხსაც არ აღირსებდა, სხვები რომ მიწას დაემზობოდენ, იგი თუ ოდნავ თავს გადუქნევდა! წარჩინებული მით უფრო იყო და სასახლეში ტოლი არ ჰყავდა, რომ სუყველაფრით განსხვავებული სულ სხვანაირათ სტამდა და სვამდა. თითონ ბიძია თავადს და გრაფსა ჰკუთითა და ზნით განა არ სჯობდა? მაგრამ, როდესაც საჭირო იყო, წელში ორ-კეცათ მოიხრებოდა... ერთხელა უცბათ ფეხი გაუსხლტა, ძირს გაიშხლართა მთლათ მოწყვეტილი. მოხუცს კინაღამ შუბლი გაუტყვდა, ძლივს-და ჰკენესოდა ხმა ჩანდებოდა და მას უმადლეს ჯილდოთ ებოძა ხელმწიფისაგან ნაზი ღიმილი! ღიან, ინება მან გაცივება!.. ის-კი წამოდგა, კარგათ გასწორდა. სურდა მეფისთვის თავგანი ეცა, გამოიჯგომა, მაგრამ მეორეთ თვით ხელმწიფის წინ განგებ დაეცა. სიცილს და ხარხარს უფრო უმატეს, ორჯერ დაცემას მესამეც მოჰყვა... და თქვენ რას ფიქრობთ? ჩვენი აზრით-კი მძიმეთ დაეცა და მჩატეთ ადგა... სამაგიეროთ ვის პიტიუბდენ? ღია ვის ჰქონდა სასახლის კარი? მაქსიმ პეტროვიჩს! ვის ამაღლებდენ? მაქსიმ პეტროვიჩს! ხუმრობა არი?! ჩინს იღებს ვინმე, ან და პენსიას, ვისი წყალობით, ვის უმადლიან? მაქსიმ პეტროვიჩს! ღიან, და თქვენ კი ერთი გვიბრძანეთ, რა შეგიძლიათ?


ჩაცკის არ მოსწონს მისი თანამედროვე საზოგადოება, რომელიც განათლებას და უადრესობას მხოლოდ უცხოელთა გარეგან მიბაძვაში ხედავს. ის ნატრობს ძველ დროს, როცა გარეგანი ზედ-გავლენა სუსტი იყო, ის ერთ ხელს წარსულისაკენ იშვერს და მეორეს მომავლისაკენ. აი მისი სიტყვები:

ჩაცკი. ...ღმერთო შენ მოეც, ჩვენ მამულის შვილს ციური ნიჭი, რომ ცხოველ სიტყვით მან დაგვაიწყო თვისება ბილწი ყოველ საქმეში მიბაძვა სხვისი!!
 დეე გამკიცხონ სწავლა არ აქვსო, ძველ დროს მისდევსო, უცხო ენა სძულს, ახალგაზდობის არღა რა სწამსო, მაგრამ სამშობლომ, რაკი თვასი ზნე სხვაში გაცვალა, აღარ მრწამს მისი ავი და კარგი, მეტათ იცვალა!
 მამა-პაპისა ენა, ზნე მტკიცე და ჩვეულება მან დაივიწყა!
 დარბაისლური კაბა და ჯუბა მასხარა ჭრაკში მან გადაცვალა!!
 მიმოიხედეთ, ლოთობა მუდმივ, შური, ღალატი და გარყვნილება ჩვენს ხალხს დატანჯულს მოედვა ირგვლივ... ვაი სირცხვილო, ვაი მამულო!!
 ქალებს არ მკითხავთ, ვაი დროებაე წყალ წადებულო! უკან გრძელ კულა, წინ აწეული და გულ-მკერდ ღია, კაბებს იკვრავს მანდილოსანი კეკლუც პრანკია! რაც სამარცხვინოთ წინეთ მიგვანდა, მითი ამაყოფს, კაცთა გულის თქმის მსწრაფლ-აღსამკვრელათ დაკოწიწიობს!. მოკლე კაბებით, თმა შეკრებილნი, ტვინ შეკვეცილნი, უცხო ენაზე მოტიკტიკენი ოჯახის მტრედნი—აი ქალები!
 ჩვენი ქალობა! ვაი სამშობლოს! მათი შემყურე, ვინ გაიხაროს, ვინდა იტოცხლოს?! როდის იქნება რომ ჩვენი ერი, უცხო ტომისგან, უცხო ენითა ბეჭედ დასმულებს აღარ გვრაცხვიდეს უცხოელებათ და დიდებულთ დროს ჩვეულებანი ძველი მსწეობა, ზნისა სიწმინდე კვლავ დაგვიბრუნდეს! ენავ მდიდარო! უგნურებისგან შენ შებილწულა, ვაი სამშობლოვ, წამხედურობით აწ დაღუპულა!!!

ჩაცკის სრულიად მოწინააღმდეგე ტიპს წარმოადგენს მეორე ახალგაზდა, მოღჩაღინი, რომლის აზრი და გრძნობა ფამუსოვისს ვერ გასცილებია. აი მათი სიტყვები:

ჩაცკი. რა გვარ ცხოვრებით ატარებდით დროს? მოღჩაღინი. სულ ერთნაირათ! რაც გუშინ, ის—დღეს!

ჩაცკი. ბანქოდან კალამს, კალამიდან ბანქოს? დანიშნულ დროზე წასვლა და მოსვლა?



მალხაზინი. რაც კი შეჭეთოც ამ ჩემს ძალ-ლონეს
 თავს არ ვიზოგავ, რაც არხივში ვარ
 მას შემდეგ სამჯერ დამაჯილდოვეს.
 ჩატკი. თქვენც გაგრიტათ პატივ-დიდება?
 მალხაზინი. თითო რამ ნიჭი ყველას დაჰყვება!
 ჩატკი. თქვენ რის ნიჭი გაქვთ?
 მალხაზინი. ორ გვარი ნიჭი.
 ზომიერება, წესიერება.

მალხაზინი მერე მოხვევება ქებას უფერასებისს.
 განსაკუთრებით ერთს აქებს.
 ჩატკი. ის ხომ უტვინო და უგნურია.
 მალხაზინი. როგორ იქნება, სამაგალითო
 სთელიან იმის ნაწერის კილოს,
 სულ ყველა აქებს იმის თხზულებას,
 არ წაგიკითხავთ თქვენ ის არა დროს?

ჩაცვი. მე სისულელეს არა ვკითხულობ.

განსაკუთრებით სამაგალითოს.

მოლჩაღინი. მე კი ხალისით გადავიკითხე.

მთხველი არა ვარ...

ჩაცვი. ყველაფერთა ჩანს, მოლჩაღინი. და ვერ გაგებდავ ჩემი აზრი ვთქვა.

ჩაცვი. ვერ რათ ცდილობ აზრის დაფარვას?

მოლჩაღინი. ჩემი ხნისამ ვერ უნდა გაბედოს თავისი აზრის გამოცხადება.

ჩაცვი. ჩემო კეთილო, მე და თქვენ ახლა, ისე ყმაწვილი ხომ აღარა ვართ, რომ მხოლოდ სხვისი აზრი მიგვანდეს უცილებლათ, წმიდათა-წმიდათ!

მოლჩაღინი. ხომ საჭიროა სხვას ვემორჩილოთ?

ჩაცვი. რისთვის?

მოლჩაღინი. იმისთვის რომ ჩინი გვიღა...

და აი ასეთ კაცს იფარებს ფამუსოვის ქალიშვილი და ჩაცვის გულზე ხელს ჭკრავს. ცხადია, მთელი ეს საზოგადოება ერთი გრძნობით არის გამსჭვალული და ერთი მიმართულებით გატაცებული. ჩაცვი არ არის ამ საზოგადოების შვილი, ის უცხო ქვეყნებში ნამუფთა და მთელ ამ წყობას ძლიერ მადლიდან დაჭურებს, ისე მადლიდან რომ უფიქროს მისი სიტყვა აშტერებს ფამუსოვის საზოგადოებას, აცვიფრებს თვითთუფ მათგანს და ბოლოს იმ დასკვნამდის მიდის, რომ ის უთუთო გიჟია, თვარა ჭკვასში მუფთელი ამაებს რაგორ იტუვისო. და ასე ახალი მიმართულების კაცი გიჟათ გამცხვავთ და ისიც იძულებულია ეს საზოგადოება დასწყევლოს და შორს გადაიკარგოს.

რაგორც ხედავთ, ეს ზიეს თავიდან ბეღამდის ერთი დიდი სატირას ძველი ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული. და სინამ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის იქნება, იქნება ამასთანავე ერთი მხრით ფამუსოვი, მოლჩაღინი და კამბ. და მეორე მხრით ჩაცვი...

რაც შეეხება არტისტების თამაშს, თამაშთ შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება იმით სრულებით ვერ დაგვიხატეს სტენაზე. არტისტები მეტადინებოდნენ ტიპები სსსსცილოთ გამეფეანათ მაშინ, რადესაც სსსსცილოთ თვითონ მათი მდგომარეობა და ანა მათი ზიარენება. ბ. ვ. აბაშიძემ წარმოგვიდგინა არა დინჯი, დარბასიელი ფამუსოვი, არამედ ქალაქელი აკუტიქა. ქ-ნ. ვაბუნიამ მოგვარგანა უფრო ხანუმა, ვინემ მოსკოვის მადლი წრის ქალბატონი. ერთი სიტყვით, სტენაზე ვხედავდით რადაც ხიარებულ ხალხს, რომელიც არც რუსნი იყვენ, არც ქართველები. რამდენიმეთ მიუახლოვდა ჩაცვის ტიპს ბ. ვ. მესხი და რეპუტილოვისას ბ. კედევანოვი. ახალ არტისტთა შორის უურადდება მიიზერო მდივნის ქალმა და ბ. ავლიანმა. მდივანს ეტუება ნიჭი და დაკვირვება. მხოლოდ საჭიროა ხელა იღამარაკოს და მიხვრა-მიხვრამი ზომიერება დაიცვას. წარა მართა მხრების მადლა აწევს და ხელების ტრიალი ვერაფერი გამხატვას შინაგანი

გრძნობის. ამას რასაკვირველია, ადვილათ გაისწორებს და რიგინი არტისტიც დადგება. რაც შეეხება ავლიანს მოლჩაღინის რაღში სწორეთ მისაწინი იყო. მარტო მისი ერთი შეხედულებობა და მიხვრა-მიხვრა განცობებდათ, რომ ის უთუთო მოლჩაღინია. საზოგადოთ კი ზიესამ სსსსრუველათ ვერ ჩაიარა და ამაში რამდენიმეთ ბრალი თვით რეჟისორსაც ედება. მისი ხელი და მუძახობა სრულებით არ ახნდა არტისტთა თამაშს. არტისტთ ვერ შეეგნათ თავისი რაღები და, მიკვირს, რატომ რეჟისორი არ დაეხმარა ამ საქმეში. კარდა ამისა, რა საჭირო იყო „მოლჩაღინის“ ასე გაკექლება—არ მესმის. ამან მხოლოდ ერთი ხარხარი ატენს საზოგადოებაში და მეტი არაფერ. ეს ცეკვა კი არა, უფრო რხუნჯობა იყო, და ნუ თუ რეჟისორს არ შეეძლო ასეთი რხუნჯობა შეემოკლება ან დასულ გამოეშვა?

საზოგადოება ბეღამთ დაესწრო. მთარგმნელი, ქალ. კანდეკილი, რამდენჯერმე გამოიწვიეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

წმრლი გერმანიიდან

ეს ყველისათვის ცხადია, რომ გერმანიის მრეწველობას დღეს-დღეობით მსოფლიო ბაზარზე პირველი ალაგი უჭირავს. აქაური ფაბრიკების საქონელი მთელ ქვეყანაზე არის მოდებული; მას დღითი-დღე უფართოვდება ბაზარი; დღითი-დღე მეტ ტერიტორიას იძენს და მეტ მუშტარს პოულობს. ნაწარმოების ბაზრის გაფართოებასთან ერთათ ვითარდება თვით წარმოების წესიც; ახალ-ახალი გაუმჯობესობა შეაქვთ ტენიკაში და ხელოვნურათ აწყობენ ქარხნებს. ასეთმა ტენიკის განვითარებამ, გერმანიის წარმოებაც ერთი-ორათ განავითარა და გააძლიერა. ამისათვის გერმანიის განვითარებულ ინდუსტრიას ველარ აკმაყოფილებს გერმანიისავე დასამუშავებული მასალა, რისთვისაც გერმანიის ფაბრიკანტები იძულებული არიან უცხო ქვეყნებიდან შემოიტანონ დაუმუშავებელი მასალა და სამაგიეროთ დამუშავებული დაუბრუნონ. გერმანიის მრეწველობის ასეთი მსვლელობა: შემოტანა დაუმუშავებელ საქონლისა და გატანა დამუშავებულისა—მისი არსებობის მოუცილებელი ძარღვია; ამ პროცესის შეჩერება გერმანელთ ამოწყვეტის გზაზე დააყენებს. როგორც ოფიციალური ციფრებიდან ჩანს, გერმანიას მარტო 1898 წ. უცხო ქვეყნებიდან შემდეგი საქონელი შემოუტანია:

ა) სანფაკენი:

ხორბალი	— —	231,400,000 მარკისა ¹⁾ .
ყავა	— —	137,000,000 „

1) მარკა—45 კ.



ქერი — — —	132,800,000	„
სიმინდი — — —	196,400,000	„
შვრია — — —	102,000,000	„
თუთუნი — — —	92,000,000	„
კვერცხი — — —	85,200,000	„
გადამდნარი ქონი — — —	83,100,000	„

ბ) დასამუშავებელი მასალა.

მატყლი — — —	241,400,000	მარკისა.
ბამბა — — —	237,500,000	„
ხეტყეულობა — — —	220,400,000	„
აბრეშუმის ხიფი — — —	103,100,000	„
ნართი დაუძახავი — — —	92,900,000	„
სპილენძი — — —	78,800,000	„
ნავთი — — —	62,000,000	„
გვარჯილა — — —	61,600,000	„

საშუალოთ, მუდამ წლიურათ შემოაქვთ გერმანიაში უცხო ქვეყნის საქონელი ღირებული 54,397,000,000 მარკათ. დასახელებულ ჯამში მხოლოდ იმ საქონლის ფასი შედის, რომელიც ბევრი ერთათ შემოაქვთ.

ერთი სიტყვით, გერმანიის ბედ-იღბალი, მისი წარმატება საგარეო ვაჭრობაზეა დამოკიდებული. ამის წესიერ მსვლელობას და გაფართოებას ელტვის მთელი გერმანიის ბურჟუაზია, და მასთან ერთათ მთავრობაც. ამის უტყუარი საბუთია ფლოტისა და ჯარების გაძლიერება, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა საგარეო ვაჭრობის დაცვა-შენახვა. ჯარები მართლაც გაამრავლეს და ამას უნდა დაეწყნარებინა გაბატონებული პარტიები, მაგრამ მაღა ჯამში მოუხსო ამობენ და ესენიც გამადიანდენ. ამის საკვირველ მაგალითს წარმოგვიდგენს ნაციონალ-სოციალისტების პარტია. ვინ არიან ეს ნაციონალ-სოციალისტები? რა სურთ და რას ელტვიან?

ნაციონალ-სოციალისტთა პარტიის მოძრაობა სულ ოთხი წლის საქმეა გერმანიაში. ამ პარტიის დამფუძნებელია ერთი ლეიპციგელი პასტორი (მღვდელი). ეს უძღვის წინ, ეს რედაქტორობს ნაციონალ-სოციალისტთა ორგანოს, სცემს პატარ-პატარა ბროშურებს თავის პარტიის გასაძლიერებლათ და სხვა... ნაციონალ-სოციალისტთა პარტია დღევანდლამდის ძალიან სუსტი და მცირე იყო, ასე რომ სხვა პარტიები ყურადღებასაც არ აპყრობდენ. სოციალ-დემოკრატები მათ უსაღდათო ოფიცრებს ეძახოდენ. არა უშავსრა, ოფიცრები ხომ ვართ სალდათებსაც მალე ვიშოვნითო! — უპასუხებდენ ისინი. ეს პატარა პარტია მალე გაიზარდა, მიიპყრო მთელი ინტელიგენციის ყურადღება, მიიმხრო დიდი პროფესორები, რომლებიც ახლა მხურვალე მონაწილეობას იღებენ ამ პარტიის გასაძლიერებლათ. ამ პარტიის

მიზანია: გაბატონება მსოფლიო ბაზარზე გერმანიის კაპიტალისტებისა; ამათ გაძლიერებას და გამაგრებას ემსახურებიან ისინი, და ამტკიცებენ, აი ეს არის ჩვენი უდიდესი ნაციონალური საქმეო. რაც შეეხება „სოციალურ“ საქმეს — ეს მუშა-ხალხის ინტერესების დაცვაში უნდა გამოიხატებოდეს, მაგრამ ისე კი რომ ამით არაფერი დააკლდეს კაპიტალისტებსო. ისინი მწუხარე ხმით ლაღებენ: ჩვენ მთავრობა გზას არ გვაძლევს, თვარა ჩვენ-ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით გავიკვლევდით გზას; ჩვენ აღარ გვეყოფნის ჩვენი სახელმწიფო, უნდა გავწიოთ და გავანგრიოთ ის მარცხნივ თუ მარჯვნივ. დღევანდლამდის გრდემლი ვიყავით, ყველა ჩვენ გვიბაგუნებდა, ახლა გვინდა ჩაქუჩები ვიყოთ რომ სხვებს ვურახუნოთო. ამ მოუსვენარ მდგომარეობაში იყვენ, არ იცოდენ საით და რა მხრით „განგრიათ“ და აი, ბედი, ატყდა ომი ჩინეთსა და ევროპას შორის. ახლა კი ომის მოტრფიალე ნაციონალ-სოციალისტებს და იმათთან ერთათ ბურჟუაზიას მიზანი დღე დაუდგათ, კრებას კრებაზე აყოლებენ, იწვევენ მთელ გერმანიას სამშობლოს დასაცველათ. ეს ერთი კვირაა ქ. ლეიპციგში განუწყვეტელი კრება ჰქვით. პროფესორი პასტორს არ აკლის ლაპარაკს და პასტორი — პროფესორს. ბევრს ლაპარაკობენ და ბევრ სიტყვებსაც ხარჯავენ. მიზანი ამ კრებისა ერთმა იმათგანმა ასე გამოხატა: შევაგნებოთ სოციალ-დემოკრატებს, რომ მათი ბედნიერება სამშობლო ვაჭრობის ზრდა-გინვითარებაზეა დამოკიდებული, თუ რომ ეს შევქელით მაშინ ჩვენ იმათთან ერთათ, — ვამბობთ იმათთან ერთათ, რადგანაც ძალა იმათ ხელშია და უმრავლესობა ისინი არიან ადვილათ შეგვიძლია ჩვენი აზრების სისრულეში მოყვანა. აი, ჩვენი თავ-სახეთქი კითხვა, აი საით უნდა იყოს მიმართული ჩვენი ძალაო. ამის პასუხათ ერთმა სოციალ-დემოკრატმა თქვა: ..თქვენ გინდათ, რომ მსოფლიო ბაზარზე მარტო-მარტო თქვენის საქონელი სალდებოდეს, თქვენ საქონელს ეჭიროს ალაგი. მარა თქვენს ასეთ სურვილს წინ ელობება სხვა ქვეყნის კაპიტალისტები, რომლის საქონელი სასტოკ კონკურენციას გიწვესო. და რომ ეს მოიცილოთ თავიდან, ფიზიკური ძალა გინდათ მოიშველიოთ. არა, ჩვენ უფრო კარგსა და მარჯვე ხერხს ვასწავლით: თუ გინდათ, რომ თქვენმა საქონელმა დაიჭიროს მსოფლიო ბაზარი, გარეთ გასატანი საქონელი დაამზადეთ კარგი თვისებისა, ამასთანავე ფასი უკელით, მაშინ, თითონ მსოფლიო ბაზარი მოგისპობთ მეტოქეებს, უხლმოთ და უთოფოთ. თქვენ ეს არ გინდათ გააკეთოთ, ვინაიდან მაშინ ჯიბე დაგიჭკნებათ და მოწყობილობათ ყვარაილს: გავამრავლოთ ვაჭრობის დამცველი ჯარე-

ბი; თვარა სამშობლო განსაცდელში ჩავარდებოდა და სხვა... ჩვენ ომს პრინციპიალურათ უარს ვყოფთ და სხ.

დასასრულ, როგორც იცით გერმანიის მთავრობას ჩინეთთან ომი იათათ არ უჯდება. სახელმწიფო გასაქალმა იმატა, მთავრობამ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ სავაჭრო საქონელს ბაჟი დაადო. ყველაფრის ფასებმა აიწია განსაკუთრებით სანოვავე დაძვირდა. მუშათა კლასს ახლა აღარ ჰყოფნის თავისი დღიური ქირა, ამისათვის ხშირათ ახდენენ გაფიცვას და სამუშაო ფასის მომატებას თხოულობენ. ამ ერთი კვირის წინ მოახდინეს ქ. ლეიპციგში გაფიცვა წიგნის მკაზმავებმა და კუჩრებმა. ზოგიერთი პირობები შეუსრულეს და მუშაობა ჩვეულებრივ გაგრძელდა.

ქ. ლეიპციგი. ლ. ახ—შვილი.

ხელოვნება და მისი მიზანი.

(დასასრული)*

გემოთ მცირეოდნათ იმასაც შევხვებ, თუ როგორ განსხვავდება ერთი-მეორისაგან ესტეტიკის თეორეტიკის პოზიცია და კრიტიკოსის. რასაკვირველია, ეს განსხვავება მარტო ფოტოგრაფიული ხატვისა და იდეის მნიშვნელობის კითხვით არ ისაზღვრება. თეორეტიკის საგანია ხელოვნება. ის იკვლევს ამ ხელოვნებას ობიექტიურათ, ეძებს მის თვისებას, მის კანონებს, არჩევს იმ წარმოდგენებს, რომლებსაც სახელოვანი ნაწარმოები იწვევს მკითხველის გონებაში, რომ ამ რჩევით თვით ხელოვნება ახსნას. ფოტოგრაფიულ ხატვას, იდეას და სხვ. მისთვის პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს. კრიტიკოსის საგანს კი ხელოვნური ნაწარმოები შეადგენს. ხელოვნურ ნაწარმოებს ის უყურებს, როგორც ფაქტს, აუცილებელ მოვლენას, და მისი მიზანია ახსნას ეს ფაქტი ანუ გამოარკვიოს მისი მიზეზები, ხასიათი, თვისებანი, აღნიშნოს, რა არის საყურადღებო და რატომ არის, რა არ არის საყურადღებო და რატომ არ არის, გამოაშკარავოს ხელოვნური ნაწარმოების საბოლოო მნიშვნელობა და ყოველივე ამაზე მკითხველს მიუთითოს. ის ყოველისფერს აქცევს ყურადღებას, იდეასაც, ფოტოგრაფიულ ხატვასაც და სხვას, რასაც კი მისი მიზნისათვის მნიშვნელობა აქვს.

მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ხელოვნების მიზანი საზოგადოებრივი სარგებლობაა, ეს მიზანი გზას უნდა უნათებდეს ყოველ კრიტიკოსს თავის კვლევაში.

მან უნდა დევნოს ისეთი ხელოვნური ნაწარმოები რომელიც ამ მიზანს არ ეთანხმება, თუნდაც შიგ დაცული იყოს ხელოვნების ყველა კანონი, და უნდა მიაქციოს მკითხველის ყურადღება ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ხელოვნების მიზანს მცირეოდნათ მაინც ემსახურება, თუნდა სახელოვნო ღირსებით სუსტიც იყოს. მხოლოთ ასეთ პირობებშია კრიტიკოსის მოღვაწეობა სასარგებლო საზოგადოებისათვის; ვისაც ადამიანის საზოგადოება სახეში არა ჰყავს თავისი მოღვაწეობის დროს, მან რა გზაც უნდა, ის აირჩიოს,— ნამდვილ მოღვაწეთა შორის მას ალაგი არა აქვს. ამასთან ყოველი მოღვაწე მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ თვითონ მოუტანოს სხვას სარგებლობა, არამედ იმასაც, რომ სხვასაც გაუღვიძოს სურვილი დახმარების. სხვას რომ სარგებლობა მოუტანო, უნდა შეისწავლო ის, გაიცნო მისი ცხოვრება, მისი საქიროება და სხვასაც გააცნო. აი ყოველივე ამის გამო ჩემ თვალში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ნაწარმოების სოციალურ მხარეს და პუბლიცისტურ კრიტიკას. პუბლიცისტური ელემენტები ყოველი ერისა და ყოველი დროის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში იყო; არც ცრუ კლასსიციზმი, არც რომანტიზმი ამ ელემენტებს მოკლებული არა ყოფილან, მაგრამ დღევანდელი რეალიზმისა და მისი შტოების—ნატურალიზმისა და ფსიხოლოგიური მიმართულების—მთავარ ძარღვს პუბლიცისტური მხარე შეადგენს. საზოგადოებრივ სარგებლობასაც რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის გამოც მოვალეა დღევანდელი კრიტიკა, ხელოვნურ ნაწარმოებს ეს ძარღვი გაუშინჯოს და დაათასოს. აბსოლუტი ქვეყანაზე არ არსებობს,—ყოველისფერი შედარებითია; ამიტომ ყოველი მოღვაწე თავდაპირველათ თავის დროს უნდა შეეფერებოდეს; ის უნდა ემსახურებოდეს თავის დროს, თუ შეუძლია, და არა წარსულს ან მომავალს: ვინც სინიღისიერათ ემსახურება აწმყოს, ის ამით მომავალსაც ემსახურება. ევროპის ლიტერატურის მიმართულებაც რომ არ მივიღოთ სახეში, ჩვენი ცხოვრება დღეს ისეთია, რომ ყოველი ქართველი პოეტი და ბელეტრისტი უმთავრესათ პუბლიცისტი უნდა იყოს. ტურგენიევის სიტყვები: ბელეტრისტისა და პუბლიცისტის მიზანი ერთი და იგივეა, გზა არის მარტო სხვა და სხვაო, დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისთვის უტყუარი ქეშმარიტებაა. ჩემი პოზიცია მე კარგათ მქონდა გამორკვეული, როდესაც ნინო-შვილს ვარჩევდი. მე მასში ვხედავი და ვხედავ ბელეტრისტ-პუბლიცისტს, მის მიერ აღნიშნულ მოვლენებს და ცვლილებას ხალხის რწმენა-შეხედულებაში მე დიდ სოციალურ მნიშვნელობას.

*) იხ „კვალი“ № 42.



ვაძლევ, ამიტომაც მალლა ვაყენებ ნინოშვილს. მე არ უარვყოფ, რომ ზოგიერთი მისი ნაწარმოები, როგორც „სიმონა“, „პარტახი“, ტენდენციურია; ეს თავის დროზე კიდევ აღვნიშნე და არც ღირსებათ მიმითვლია მათი ავტორისათვის; მაგრამ საერთოთ მისა თხზულებანი ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს წარმოადგენენ, ჩვენთვის მათ დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს და ამის დანახვა და დაფასება ჩემს მოვალეობას შეადგენდა. ნინოშვილის, კლდიაშვილისა და მათი მზგავსი ბელეტრისტების მნიშვნელობა მათი ნაწერების პუბლიცისტურ მხარეშია და, ვინც ამ მხარეს არ მიაქცევს, ან ვერ მიაქცევს ყურადღებას, ის ასეთი ბელეტრისტების დაფასებასაც ვერ შეძლებს. ბ-ნ ხომლელს თავისი პოზიცია არასოდეს არ ჰქონდა გამორკვეული, არც ღღესა აქვს. ამიტომაც ნინოშვილის მნიშვნელობის დაფასებაში უბრალო მკითხველის გამჭირახობაც კი ვერ გამოიჩინა. ის იქამდისაც კი მივიდა, რომ თავის დაფასებაში მოთხრობების სათაურებით ხელმძღვანელობს და ნინოშვილს „ტეტიათა მოტრფიალეთ“ აკუთვნებს!! მერე რა საბუთით? იმ საბუთით, რომ გურიის გლეხს ხატავს თავის მოთხრობებში! ბ-ნ ხომლელს დავიწყებია, რომ ტეტიათ მოტრფიალეს ის კი არ ახასიათებს, რომ გლეხს ხატავს, არამედ ის, თუ როგორ ხატავს ამ გლეხს. თუ ბ-ნ ხომლელს დავუჯერეთ, ცოტას ვნახავთ მწერალს, რომ ტეტიათა მოტრფიალე არ გამოდგეს; ჩხოვი, გორკი ნაროდნიკები იქნებიან, რადგანაც ხშირათ გლეხებს ხატვენ. დუტუ მგერელი, კლდიაშვილი, არაგვისპირელი, ველოშვილი,—სულ ტეტიათა მოტრფიალენი გამოდგებიან! ტეტიათა მოტრფიალე ის მწერალი კი არ არის, ვინც გლეხს ხატავს, არამედ ის, ვინც გლეხს იდეალურათ ხატავს.

„ხალხის (იგულისხმე გლეხობა) გული, როგორც ახლათ დაბადებული ბავშვის ტვინი, თეთრი დაუწერელი ქალღვრი; არავითარი ბოროტება არა ჩანს მასში, არავის იგი არ ენდურის, თუ აეშლება დარდი, უცებ დღის ვარამი ჩაუქრობს მას, მისი გული ბროლის სარკეა“... აი ტეტიათა მოტრფიალე*). ნინოშვილის მოთხრობებში კი ნამდვილი გლეხია ცხოვრებიდან ამოღებული მთელი მისი ღირსება—ნაკლულევიანებით და არა იდეალური, ამიტომაც მისი ტეტიათა მოტრფიალეობა მხოლოდ ბ-ნ ხომლელს თუ ელანდებოდა. ბ-ნი ხომლელი ვერ უარჰყოფს, რომ „ნინოშვილმა გამოსვლისათნავე მიიქცია საზოგადოების ყურადღება“, მაგრამ აი როგორი გამჭირახობით ხსნის ამ გარემოებას: ნინოშვილი „ახა-

ლი კაცი“ იყო, ის პირველი შეეხო გურული კირვებული გლეხის ცხოვრებასო. მაშასადამე ყოველი ახლათ გამოსული მწერალი მალე უნდა იქცევდეს საზოგადოების ყურადღებას, ასეა ნამდვილათ? „კრებული“-ს მე-10 გვერდზე გვეუბნება: ნინოშვილს ყოველ ნაწერში ეტყობოდა, რომ მხატვარი არ იყო, და რამოდენიმე სტრიქონს შემდეგ კი უმატებს,—შემდეგში გაიმართებოდა და „გაშლიდა ჩვენი თვალის წინ სოფელეთა ტრაგედიას, რომელიც შესძრავდა მკითხველის სულსა და გულსა“. (ხაზი ჩემია) საოცარია ღმერთმანი! თუ მხატვარი არ იყო, ასეთ ძლიერ გავლენას რით მოახდენდა მკითხველზე? თუ მოახდენდა, მაშ მხატვარიც ყოფილა და გვარიანი ნიჭის მხატვარიც. სწორეთ ძლიერი ნიჭია სიჭირო, რომ მკითხველის სული და გული შეძრას! ერთი სიტყვით ბ-ნი ხომლელი თავის თავს ებრძვის: მას კიდევ უნდა და თან არც უნდა ნინოშვილში მხატვარი დაინახოს, და ეს ბრძოლა მთელ მის სტატიაში გამოსჭვივს. ის ნინოშვილის ნაკლულევიანებათ აღნიშნავს: „სიმონაში“ და უიშვილში შეერთებულია წმინდა შრომის ინტერესების წარმომადგენელიც და წვრილ ფეხა „ბურჟუაზიის“ ინტერესებიც, (ბ-ნი ხომლელი აქ ცოტა ცდება: სიმონაც და უიშვილიც წვრილ ფეხა მესაკუთრენი არიან და არა წვრილ ფეხა „ბურჟუები“. მისი მარქსისტიც „Хозяинъ“-ს ხმარობს და არა ბურჟუას;—ეს კისულ სხვა-და-სხვაა). ამათ დასტრიალებს ნინოშვილი გულის მხურვალებით... არსად არც ერთ მოთხრობაში ნინოშვილი არა თუ ცდიდა, არც კი წარსცდენია მას გამოეხატა წმინდა შრომის, უსახლკარო, ბოგანო სოფელი“. (გვ. 17 „კრებული“ III და IV). ასეთი საყვედური მით უფრო გასაოცარია და ახირებული, რომ წინა გვერდზე ბ-ნი ხომლელი მართალი სურათის გამოხატვას ერთათ ერთ უდიდეს პირობათ აღიარებს მხატვრისათვის. წმინდა პროლეტარი ქართველი, ნინოშვილს არ დაუხატავს, რადგანაც ასეთი წმინდა პროლეტარი ოთხმოცდა ათ წლებში არ იყო, როგორც სოციალური მოვლენა. ასეთ ნიშნებს წმინდა პროლეტარების გაჩენისას მხოლოდ დღეს იძლევა ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურაც. დღევანდელი ჩვენი გლეხი მესაკუთრეც არის ჯერ და პროლეტარის ნიშნებსაც ატარებს; დღეს ის აღარც წმინდა კერძო მესაკუთრეა, არც წმინდა პროლეტარი, ჯერ ის მხოლოდ გაპროლეტარების გზას ადგია და ასეც დახატა ის ნინოშვილმა. ქართველი გლეხი დღეს ერთის ხელით მაშინას წატანება უკვე, მეორე ხელით კი ჯერ ისევ მიწას ჩაბლაუჭებია; არ უნდა, რომ მოშორდეს; ჩვენი

*) „წარსულიდან“. „მოამბე“ № II, 1899 წ. გვ. 93.

ცხოვრების მსვლელობასაც. ჯერ იმდენათ მძლავრათ ვერ დაუტრიალებია ეს მაშინა, რომ „უიშვილები“ სრულებით მოვლიჯოს მიწას და ისეთ წმინდა პროლეტარებათ აქციოს, როგორც საზღვარ გარეთ არის. ნინოშვილმა დახატა მხოლოდ ის, რაც ნამდვილათ არსებობდა ჩვენ ცხოვრებაში, და ეს ღირსებათ უნდა ჩაეთვალა მას, ვისაც მართალი სურათის გამოხატვა „ერთათ ერთ უდიდეს პირობათ“ მიაჩნია მხატვრისათვის. ამას შემდეგ ბ-ნი ხომლელს მაინც უკვირს: წმინდა პროლეტართა „ქაჭანება ჩვენს ბელეტრისტიკაში ჯერ კიდევ არსად არ არის“-ო, ეს სრული ჭეშმარიტებაა და, ბ-ნი ხომლელი რომ ჩაკვირვებოდა ამ მოვლენას, დარწმუნდებოდა, რომ ჩვენი ბელეტრისტიკები უკეთ იცნობენ ჩვენ ცხოვრებას, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსები. ბ-ნი ხომლელი კმაყოფილებით აღნიშნავს, უდროოდ დაღუპული მწერალი ჩვენში აღარავის ახსოვს, და თავის თავს ერთხელ კიდევ არწმუნებს: ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბოლოს მაინც სულგრძელობას იჩენს და მკითხველს ნინოშვილის კითხვის ნებას აძლევს: ნინოშვილი ღირსია წაკითხვისა. გაიხარეთ ნინოშვილის ძეგლებო, ახლა მაინც ეღირსება თქვენ თხზულებებს წაკითხვა! მწერლის დაფასებაში მკითხველი საზოგადოება რომ ყოველთვის კრიტიკით ხელმძღვანელობდეს, პოეტობა და ბელეტრისტიკა საშინელი სასჯელი იქნებოდა, მაგრამ იღბლათ საერთოდ მთელი მკითხველი მასსა უკეთ აფასებს ყოველ მწერალს, ვიდრე ერთი რომელიმე კრიტიკოსი; ქართველმა მკითხველმაც ღიმილი ხანია დააფასა ნინოშვილი და ბ-ნი ხომლელის მეტს ის ჯერ არავის დავიწყებია: მისი თხზულებანი ღიმილი ხანია სულ გაიყიდა და გარდა ორი პატარა მოთხრობისა, რომელიც „კვალის“ რედაქციამ გამოსცა, აღარსად აღარ იპოება გასაყიდათ. მისი ნაწერების მოთხოვნილება ჯერ არ შესუსტებულა ხალხში და მეორე გამოცემაც მალე გამოვა, რაც ქართველ მწერალს ასე მოკლედროში ძვირათ შეხვდება ხოლმე წილათ.

ამით ვათავებ ჩემ წერილს. ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ მას შემდეგ, რაც ისეც საკმაოდ ვილაპარაკე ნინოშვილის შესახებ, კიდევ დაუბრუნდი ამ მწერალს. თუმცა ეს სრულებით არ შეადგენდა ჩემ მიზანს ამ სტატიის წერის დროს, მაგრამ გარემოებამ მაიძულა. ხშირათ ხდება, რომ ორი კრიტიკოსი ერთსა და იმავე მწერლის შესახებ სრულებით სხვა და სხვა აზრისანი არიან, მაგრამ მათი მსაჯული მკითხველი საზოგადოებაა და არა თვით ისინი, რადგანაც თავის თავი ყველას მართალი ჰგონია; ამ მოსაზრებით აღარც მე და-

უბრუნდებოდი ნინოშვილს, რომ ამ ბელეტრისტიკის დაფასებაში ბ-ნი ხომლელი გარკვეულ გზას ადგეს და ხშირათ არ ეწინააღმდეგებოდეს თავის თავს, როგორც მკითხველს დავანახვე.

ჩემი სტატია საგაზეთოა და არა რაიმე გამოკვლევა. ამის გამო მე არც ვცდილვარ ესტეტიკის თეორია წარმომედგინა მკითხველისათვის, ან დასახული კითხვა სრულათ გამომერკვია, მე გამოვთქვი მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება ხელოვნებისა და მისი დანიშნულების შესახებ და, თუ მართალი მითქვამს, შეიძლება სხვამ ისარგებლოს ვინმე ამით, ან მევე დაუბრუნდე შემდეგში, როდესაც გარემოება შემადგებიებს.

ივ. გომართელი.

მსიჩი შენიშვნა

ბ. ი. რასტომაშვილმა „ივერიის“ მე 219 №-ში დაბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა „მშობელთა საერთაერთო შემწე საზოგადოების“ დაარსებას. გამოცხადებისამებრ რამდენიმე ზირი შეიკრიბა ქვასვეთის სამრეფო სკოლის დარბაზში და რამდენიმე ზარაკრათი ბ. ი. რასტომაშვილის პრეპტიის განხილეს. მარა, სამწუხაროთ, რიცხვი დამსწრეთა მეტათ მცირე იყო, რაც უშთავრესათ ჩვეულებრივ გულ-გრილობა-დაუდევრობას უნდა მიეწეროს და მეორეთ იმას, რომ ზოგიერთები ეგვლაფერს უტოზიას და შეუძლებელს უწოდებენ. ბატონებო, ჯერ ვნახეთ ეს თუ ის პრეპტი და თუ მართლად უტოზიაა—ნურც ჩვენ მოვიწინებთ და ნურც ავტორს ვაძგენთ. მარა, ასეთი ტენდენციური აზრი, მე მკონია შემცდარია, რადგან ადვილათ შეიძლება, რომ ბ. ი. რასტომაშვილის პრეპტი ძლიერ სჯირო და თვით ნამდვილი ნიადაგის ნაყოფი იყოს. შეიძლება ბევრს არ გამოეცდია და არც გაუგონია, რომ ხშირათ მასწავლებელი ვერ უშოვიათ მისამზადებლათ და თუ უშოვიათ 15 ან 20 მანეთათ თვეში დიდი მუნათით და გაჭირვებით. ხოლო მაშინ კი, თუ ბ. ი. რასტომაშვილის პრეპტი განხორციელდა, სხვათა შორის, ასეთი ძლიერი დაბრკოლებანი სწავლის საქმეში აღარ იქნებიან. ზირ იქით 15 და 20 მანეთის ნაცვლათ, იგივე მომზადება 5—7 მანეთათ დაუჯდება აუარებელ მოსამზადებელ მოსწავლე თაობას. ერთი სიტუვით, ძლიერ და ძლიერ სჯიროა, ამ პრეპტის განხილვას მომავალ კვირას, 22 ოქტომბერს, დილის თორმეტ საათზე ქვასვეთში ბლამათ დაესწროს ჩვენი საზოგადოება და მოისმინოს ამ ფრიად სჯირო-სასარგებლო საქმის შესახებ სჯა-ბასი.

ნესტორ აბაშიძე.

ჰიგიენა.

2 — როგორ უნდა დავაყვანოთ თავი ყვავილისაგან.

უწინდელ დროში არც ერთი სატკივარი მთელ ქვეყანაზე ისე არ ღუბავდა ხალხს და არ ამახინჯებდა, როგორც ყვავილი. მაშინ ძნელათ იპოვიდით ისეთ ბედნიერ კაცს, რომ ყვავილი არ მიჰკარებოდა. ამ ასიოდე წლის წინეთ ხუთმეტ კაცში ერთს თუ იპოვიდით, რომელსაც თავის სიცოცხლეში არ შეჰყროდეს ყვავილი. ხოლო ვისაც კი ყვავილი შეხვდებოდა ძნელათღა დააღწევდა ხოლმე თავს. მაშინდელ დროში აი როგორ იყო: სადაც ათი კაცი ყვავილით ავით გახდებოდა, იმათში სამი კაცი უეჭველათ კვდებოდა, ხოლო ვინც სიკვდილს გადარჩებოდა, ვი იმისთანა გადარჩენას, ზოგი დაბრმავდებოდა ხოლმე და მთელი თავისი სიცოცხლე უსინათლოთ რჩებოდა, ზოგი ყრუვდებოდა, ზოგი სრულებით უძლოვდებოდა. ხოლო რაც შეეხება ღვთისგან მოცემულ პირისახეს, თითქმის ყველას ნაყვავილარებით უფუჭდებოდა და კენკილი და ჩოფურა მაშინ ძლიერ ხშირი იყო.

მთელი საუკუნოები გადიოდენ, ხალხი ასე იყო ტყვეობდა, სახიარო ხდებოდა და მახინჯდებოდა, ხოლო არ იცოდენ კი რითი და როგორ დაეხსნათ თავი ამ საშინელი ჭირისაგან, რომელსაც ყვავილი ჰქვია, მაგრამ ნათქვამია: „ღმერთი თავის გაჩენილს უნუ უკუგმოს არ დატოვებსო“ და აქაც გამართლდა ეს ანდაზა. ერთ ინგლისელ დოქტორს, გვართა ჯენერს, ბედნიერი აზრი მოუვიდა თავში, ამან ნამდვილი საშუალება და უებარი წამალი იპოვა ყვავილის ავთამყოფობის წინააღმდეგ.

დიდი ხანია იცოდენ რომ ყვავილი მარტო ადამიანს კი არა, საქონელსაც შეეყრება ხოლმე. მაგალითათ ცხენს ფეხებზე დაყრის, ცხვარს მთელ ტანზე აყრის, ძროხას კი მხოლოდ ცურზე გამოაყრის ხოლმე. უწინდელმა ხალხმა ისიც კი შეამჩნია, რომ ძროხიდან ყვავილი ზოგჯერ ადამიანზე გადადიოდა, მაგრამ ვისაც კი ძროხის ყვავილი შეხვდებოდა, არაფერს არ აწებდა. როცა ძროხა ყვავილით ხდება ავით, ხშირათ ძროხის ყვავილი იმ დედაკაცს გადაედება ხოლმე, რომელიც ძროხას ყოველ დღე სწველის. — ხელებზე სწორეთ იმისთანა მუწუკებს აყრის, როგორიც ძროხის ცურის ნაკებზეა გამოაყრილი. მაგრამ დედაკაცებს ამ ყვავილისაგან არაფერი ვნება არ ეძლევათ.

დოქტორი ჯენერი ინგლისის ერთ სოფელში ექიმათ იყო დანიშნული და თავისი თვალით ხედავდა რა გვარ განსაცდელშიაც ჩავარდებოდა ხოლმე

სოფლის ხალხი, როდესაც ყვავილი მთელ სოფლებს მოივლიდა და ხალხს მუსრს ადენდა. ბევრი იფიქრა ამ პატიოსანმა და ხალხისთვის გულშემატკივარმა კაცმა, ბევრნაირათ მეცნიერულათ მოისახრა, როგორ უშველოთ ხალხს, როგორ გადავარჩინოთ ხალხი ამ საშინელ ჭირს, ყვავილსაო, და ბოლოს, ღვთის შეწევნით, მართლაც და ნამდვილ გზას დაადგა.

ჯენერი ძლიერ ხშირათ ებაასებოდა ხოლმე გლეხკაცობას ყვავილის შესახებ და მათგან აი რა შეიტყო: „რომელ დედაკაცსაც ავთამყოფ ძროხისაგან ყვავილი გადაედება და ხელებზე გამოაყრის, იმ დედაკაცს ადამიანის ნამდვილი ყვავილი აღარ შეხვდება ხოლმე, თუ გინდ მთელი მისი ოჯახი ყვავილით იყოს ავითო“. ამ გვართა, კისაც კი ძროხის ყვავილი გადაედებოდა, ნამდვილათ ბედნიერდებოდა, რადგან ყვავილისაგან სიკვდილისა აღარ ეშინოდა. ჯენერმა თვალ-ყური ადევნა ამ საქმეს და ბოლოს დარწმუნდა, რომ გლეხები ნამდვილს ამბობდენ. მაშინ ჯენერმა იფიქრა: თუ ძროხის ყვავილისაგან დედაკაცები თავის დღეში არა კვდებიან და თანაც იმ დედაკაცს, რომელსაც ძროხის ყვავილი უხდია, ნამდვილი ყვავილი აღარ ეკარებათ, მაშასადამე რატომ არ უნდა ვცადოთ? ავიღოთ და ძროხის ყვავილი ბავშებს განგებ შეეყაროთ, აუცრათო, იქნება ღმერთმა ბძანოს და ნამდვილმა ყვავილმა ბავშებსაც ხელი აღარ ახლოს მთელ მათ სიცოცხლეშიო“. ასე გადაწყვიტა დიდებულმა მეცნიერმა ჯენერმა და როცა იმის სოფელში კვლავ გაჩნდა ყვავილი და ხალხს შეუბრალებლივ ჟღერდა, ჯენერმა აიღო ძროხის ცურიდან ყვავილის ჩირქი და ბავშებს გაბედულათ დაუწყო აცრა. ნესტრით ცოტათი გაუფხაჭნიდა ხოლმე მკლავზე კანს და მერე ძროხის ყვავილის ჩირქს წაუსვამდა — მორჩა და გათავდა. მერე აცრილ ბავშებს ჯენერი ყურს უდებდა, მკლავს უშინჯავდა; დაატყო რომ ბავშს მკლავზე, აცრილ ადგილზე, რომდენსამე დღეს შემდეგ ბუშტებს მუწუკებით გამოაყრიდა, სწორეთ იმისთანებს, როგორიც ძროხას ცურზე ჰქონდა დაყრილი, გაივლიდა ორიოდე კვირა, ბავშებს მუწუკები შეუშრებოდა, შემდეგ სრულებით მოურჩებოდა. ამ გვართა რომელ ბავშსაც კი ძროხის ყვავილი აუტრეს, ნამდვილი ყვავილი ახლოს აღარ მიეკარა — გარშემო ხალხი ყვავილით იხოცებოდა, მაგრამ აცრილ ბავშებს კი თავიდან აცდათ, მშვიდობით გადარჩენ.

გაეხარდა ჯენერს, რომ ამისთანა ნამდვილი საშუალება იპოვა ხალხის ჭირისაგან გამოსახსნელათ და აღტაცებულმა მთელ ინგლისის დოქტორებს აცნობა. მერე სხვა სახელმწიფოებსაც მიწერა თავისი გამოგონილი ხერხი და ყველას აუხსნა, როგორ უნდა დაიცვან ხალხი ყვავილისაგან, გა-



დაარჩინონ სიკვდილს და დასახიჩრებას. ყველა ექიმმა სცადა თავის ქვეყანაში ყვავილის აცრა ისე როგორც ჯუნნერმა ასწავლა. მათ და ყველგან ნამდვილი მხსნელი აღმოჩნდა კაცობრიობისა. ერთი სიტყვით ვისაც კი ძროხის ყვავილი აუტრეს, იმას ნამდვილი ყვავილი აღარ ეკარებოდა.

ამ ჩვენ დროში, უცხო სახელმწიფოებში ძნელათ შეხვდებით ახლა იმისთანა ბავშვს, რომ ყვავილი აცრილი არა ჰქონდეს. ამიტომაც ძლიერ იშვიათია რომ იქ კაცი ყვავილისაგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში. დიდი ყურადღება მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავშვი უეჭველათ აცრილი იყოს. მაგალითათ ნემეცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 24 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა, რომლის ძალითაც ყველა ბავშვისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეორეთაც შეათე წელიწადზე. მეორეთ აცრა უეჭველათ საქირა და აი რატომ. როგორც აღმოჩნდა, ერთი აცრა მხოლოდ რვას ანუ ათ წელიწადს დაიცავს კაცს ყვავილისაგან, და არა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მას შემდეგ რაც ნემეცებმა შემოიღეს ხსენებული კანონი და თავის ბავშვებს ორ-ორ-ჯელ დაუწყეს ყვავილის აცრა, ნემეცების ქვეყანაში ყვავილი იშვიათათ-ლა იჩნდა ხოლმე თავს და მერე და მერე კი ყვავილის ხსენება სრულებითაც მოისპო. დღეს იქაურმა ხალხმა არც კი იცის ყვავილით ავთმყოფობა რასა ჰქვია.

საზოგადოთ რუსეთის სახელმწიფოში ხალხი არც თავის თავს და არც ბავშვებს ასე არ უფთხილდება. სამწუხაროთ ქართველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იბოვით, სადაც არც ერთ ბავშვს არა აქვს ყვავილი აცრილი. ხოლო რაც შეეხება მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს; არამც თუ გლეხებში, თავად-ან-ნაურებშიაც ძნელათ თუ იბოვით ორ-ჯელ აცრილ ბავშვს.

სამინელება მეტადრე მიყრუებულ, მივარდნილ სოფლებში. გაუნათლებელი ხალხი ცრუ მორწმუნეობით არის შეჯაჭვული, ამისთანა სოფლებში როცა კი ყვავილი იჩენს ხოლმე თავს, ხოლერაზე უფრო ძლიერ ჟღერს ხალხს. მერე რა არის ამის მიზეზი თუ არ ხალხის შეუგნებლობა. ცრუ მორწმუნე კაცს ყვავილი რაღაც ანგელოზათ მიაჩნია და ყვავილის აცრა დიდი ცოდვა ჰგონია. ნუ თუ ცოდვათ ჩამეთვლება, რომ ჩემი ბავშვისთვის ვიზრუნო, თავის დროზე ყვავილი ავუტრა და მით გადავარჩინო სიკვდილს? ნათქვამია: „ღმერთმა

რომ სატკივარი გააჩინა, წამალიც გაუჩინაო“? ყველა და ყველა მშობლები მოვალენი არა ვართ და კაცის წინაშე, რომ ჩვენ შეილებს ყვავილი ავუტრათ და წინათვე დავიცვათ ჩვენი შეილი დაბრმავებისაგან, დაყრუებისაგან და დამახინჯებისაგან?!. იმას ხომ ვინლა მოთვლის, ყვავილისაგან რამდენი ბავშვს მოკვდომია დედა და ობლათ დარჩენილან ყოვლად უნუგეშოთ; რამდენი ვაჟ-კაცი, ოჯახის ერთათ ერთი მარჩენელი, დაბრმავებულა ყვავილისაგან, თითონაც ტვირთათ გახდომია ოჯახს და საზოგადოებას და მთელი მისი სახლობაც უბატრონოთ დარჩენილა, ოჯახი, სახლ-კარი გაოხრებულა, რამდენ გასათხოვარ ქალს წახდენია ყვავილისაგან ლამაზი სახე და უბედურათ დარჩენილა.

მერე კი ცხარე ცრემლით ტირის და ჩივის ხალხი, იწყველის თავის ბედს, მაგრამ ვისი ბრალია? ნათქვამია: „რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო“. თუ კი კაცი თავის თავზე თითონ არ ზრუნავს, ამისთანა კაცს ვინ რა უნდა უშველოს.

ექიმი გმელიშვილი.

(დასასრული იქნება)

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნაე ჟორდანიასი
გამ. ამხან. „ზრომის“. ფასი 25 კაპ.

**თფილისის
ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ის იჯარით გასცემს ქალაქის ოთხ მალაზიას, ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდროვის ბაღთან.

ვისაც სურს იჯარით აიღოს ეს მალაზიები, უნდა განაცხადოს თავისი პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში.

(3-2)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წყნოფლისა.